პროექტის სახელწოდება:„შენ სიღარიბეს არ იცნობ ალბათ, რომელიც არის პატარა ჯვარცმა“.

არის ინტეგრირებული პროექტი, რომელიც მოიცავს სამოქალაქო განათლებასა და გეოგრაფიას. მონაწილეობდა 15 კადეტი (10კლ)

პრობლემის განსაზღვრა და მისი აქტუალობის დასაბუთება

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოსახლეობის მკვეთრი მატების პარალელურად თავი იჩინა მრავალმა პრობლემამ, მათ შორის ერთ ერთი აქტუალური საკითხია სიღატაკე, რომელმაც გლობალური ხასიათი მიიღო. ამ პრობლემების მზარდმა პროგრესმა აუცილებელი გახადა მსოფლიო საზოგადოების აქტიური ჩართულობა და გადაჭრის გზების ძიება. ამ მიმართულებით გაერომ საკმაოდ ეფექტური ნაბიჯები გადადგა, როდესაც დაარსა ისეთი სპეციალური დაწესებულებები, როგორიცაა: „გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია“, „სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი“ და სხვა, რომლის მიზანია მსოფლიოში სიღარიბის დონის აღმოფხვრა. სწორედ გაერო აღმოჩნდა ის ორგანიზაცია რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მდგრადი განვითარების იმ 17 მიზანს, რომელიც დაეხმარება მსოფლიოს დღეს მის წინაშე არსებული ყველა პრობლემის, მათ შორის სიღარიბის აღმოფხვრაში.

სიღარიბე ერთ-ერთი სერიოზული და უმნიშვნელოვანესი პრობლემაა არა მარტო რომელიმე კონკრეტული ქვეყნისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის. შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს ქვეყანა რომელსაც გარკვეულ დონეზე მაინც არ აწუხებს სიღარიბე და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

აღნიშნული პრობლემა აქტუალურია საქართველოშიც, სადაც ბოლო წლების მონაცემებით შეინიშნება ერთ სულ მოსახლეზე მ.შ.პ.-ის კლება

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე (მიმდინარე ფასებში) (2017-2021 წლები)



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp



მიუხედავად იმისა, რომ სიღარიბის მაჩვენებელი პროცენტულად იკლებს, მაინც მონაცემები საგანგაშოა და იგი ეფექურ რეაგირებას საჭიროებს.

ამიტომ სამოქალაქო განათლებისა და გეოგრაფიის მასწავლებლებმა გადავწყვიტეთ აღნიშნული პრობლემის შესახებ განვახორციელოთ პროექტი: „შენ სიღარიბეს არ იცნობ ალბათ, რომელიც არის პატარა ჯვარცმა“, რადგან სიღარიბე თავის მხრივ იწვევს მთელ რიგ პრობლემებს საზოგადოებაში, როგორიცაა: მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი ოჯახები, იძულებით გადაადგილებული პირები, ინვალიდები, მიუსაფარი ბავშვები, პენსიონერები და სხვა) არსებობა ქვეყანაში, რომლებსაც არა აქვთ ელემენტარული საარსებო პირობები, ასევე ისინი შეიძლება იქცნენ საზოგადოების მხრიდან დაცინვის, ძალადობის , ღირსების შემლახავი ქმედების, ბულინგის მსხვერპლნი (მდგრადი სოციალური განვითარება), შესაბამისად ქვეყნების წინაშე თავს იჩენს მთელი რიგი პრობლემებისა, როგორიცაა:

- დემოგრაფიული პრობლემა
- განათლების ხელმისაწვდომობა
- ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა
- ეკონომიკური სიდუხჭირე
- ემიგრაცია

პროექტის მიზნები:

- ✔ მდგრადი სოციალური განვითარების არსის გაგება და გაცნობიერება
- ✔ იდენთიფიცირება იმისა, თუ რამდენად მძაფრად წარმოჩინდება განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ქვეყნების გლობალური სოციალურ- ეკონომიკური პრობლემები და რამდენად განსხვავდება პრობლემებზე რეაგირების გზები
- ✔ მოსწავლემ შეძლოს საკითხის გაანალიზება და შეადგინოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების მისეული გეგმა.
- ✔ გადაჭრის გზების ძიება
- ✔ ტოლერანტი და პასუხიმგებლიანი მოქალაქის აღზრდა
- ✔ მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება
- ✔ თანამშრომლობითი უნარების განვითარება.
- ✔ პრეზენტაციების მომზადება და წარდგენა
- ✔ ბუკლეტების მომზადება და კადეტებისათვის მისი გაცნობა.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს: ქვეყნის ინტერესების, ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება. სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა.

მოქ.X.2. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს ადამიანური ღირსების არსი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განმარტავს ადამიანური ღირსების არსს;
- განიხილავს ადამიანის ღირსების კრიტერიუმებს სხვადასხვა სოციალურ- კულტურული გარემოში და გამოყოფს უნივერსალურ მსგავსებებს;
- მსჯელობს ადამიანური ღირსების პატივისცემის ფაქტორებზე სხვადასხვა საზოგადოებაში;

მოქ.X.5. მოსწავლეს შეუძლია გააზრებული მონაწილეობა და თანამშრომლობა სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე

- საკუთარი დასახლებაში გამოყოფს სხვადასხვა სოციალურ უმცირესობებს (*მაგ.: მარტოხელა მოხუცები, ინვალიდები, მიუსაფარი ბავშვები, იმიგრანტები* და *ა.შ.);* მსჯელობს ამ ადამიანებისადმი საზოგადოების ურთიერთობის თავისებურებებზე;

- გამოყოფს საქართველოში, მისი აზრით, ყველაზე დაუცველ სოციალურ ჯგუფებს და მსჯელობს საზოგადოების მხრიდან მათი დახმარების შესაძლებლობებზე; ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას;

გეო.XI.2. მოსწავლეს შეუძლია სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის გლობალური პრობლემების ანალიზი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ირჩევს განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომ ქვეყნებს; ადარებს, რამდენად მძაფრად წარმოჩინდება თითოეულში გლობალური სოციალურ- ეკონომიკური პრობლემები და რამდენად განსხვავდება პრობლემებზე რეაგირების გზები;

- აანალიზებს ჩამორჩენილობის პარამეტრების მიმართულ დაძლევისაკენ

ღონისძიებებს და ადგენს მსოფლიოს რეგიონების პროგნოზულ (მომავლის) "სოციალურ-ეკონომიკური განვითარების" რუკას.

ამოცანები და განხორციელების გზები:

პროექტის მიზნის შესაბამისად დაისახა და ეტაპობრივად შესრულდა ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობები:

1. პროექტის გეგმის შექმნა; განხორციელების ვადების დადგენა; ჯგუფის წევრებს შორის დავალებების განაწილება (მარტი 2020წ)
2. მასალების შეგროვება, დახარისხება და პრეზენტაციისთვის გამზადება (აპრილი–2020წ)
3. პროექტის პრეზენტაცია: აპრილი -2020წ

მოსალოდნელი შედეგი:

- მოსწავლეებმა უკეთ გაიაზრეს და გაანალიზეს მდგრადი განვითარების არსი, ისაუბრეს იმ პრობლემებზე, რაც შეიძლება სიღარიბემ გამოიწვიოს, გამოთქვეს მოსაზრებები გადაჭრის მისეული გზები.
- მოამზადეს პრეზენტაცია და წარუდგინეს თანაკლასელებს,
- დაამზადეს ბუკლეტები.
- განუვითარდათ თამანშრომლობითი და მაღალი საზროვნო უნარები.